ძროხის სიგნალების ამოცნობა და გაგება

Plantahof

ძროხა მუდამ გვანიშნებს, თუ როგორ გრძნობს თავს. თუმცა, ამ ნიშნების ამოსაცნობად საჭიროა მათზე მუდმივი დაკვირვება. ეს კი, შესაძლებლობას მოგვცემს დროულად ამოვიცნოთ დარღვევები და მათზე სწორი რეაგირება მოვახდინოთ.

ნიდაო

ფერმაში დაბალ გისოსებს ან საკისრე დაბალ მილებს ნიდაოზე დაჟეჟილობის, ნაკაწრებისა და ანთების გამოწვევა შეუძლია.

სხეულის კონდიცია

Body Condition Score (BCS) ამის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ძროხის კონდიციას ასახავს. იგი გვანახებს, ადეკვატურად იკვებება თუ არა პირუტყვი. შესაძლებელია სიმსუქნის (მაგ. ლაქტაციის ბოლოს) და სიგამხდრის (მაგ. ლაქტაციის დასაწყისი) მიზეზების დადგენა. ფერმერის მიზნებიდან გამომდინარე, პირუტყვის მხოლოდ მაქსიმუმ 10 % შეიძლება იყოს ზედმეტად გამხდარი ან მსუქანი.

ტანის მდგომარეობა

ძროხა, რომელიც მუდამ ზურგს ხრის და სხეულით წინა ფეხებს აწვება, დასუსტებულია ან/და კუჭის ტკივილი აწუხებს.

ყურადღება, თვალები

ჯანმრთელი ძროხა ფხიზელ და ცოცხალ შთაბეჭდილებას ტოვებს, ენერგიულია და მბზინავი ბეწვი აქვს. თვალები ნათელი და მშრალია; ყურები მოძრაობაშია.

ტემპერატურა

ტემპერატურა პირველივე საეჭვო ნიშნის გაჩენისთანავე გავუზომოთ! ნორმალური ტემპერატურა 38-39 გრადუსია. ტემპერატურა სწორ ნაწლავში იზომება. ცივი ყურები ან/და ცივი ზურგი შესაძლოს ჰიპოკალცემიას ან სხვა (განსაკუთრებით კი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის) დაავადებას ნიშნავდეს.

ცხვირი

ცხვირი სუფთა და ტენიანი უნდა იყოს.

ფეხები, სახსრები

შესიებული ფეხები ან სახსრები ფერმაში არასათანადო პირობებზე მითითებს. ფეხებზე და სახსრებზე თმაგაცვენილი და დაზიანებული ადგილები, სავარაუდოდ, სადგომში არასაკმარისი ადგილის, ძირს დასაგები ნამჯის ნაკლებობის ან ჩლიქების პრობლემაზე მიუთითებს.

ცოხნა

ჯანმრთელი ძროხა დღის 30% - 40% ცოხნით არის დაკავებული. ყოველი უკან ამოღებული ლუკმა 55-70-ჯერ უნდა დაიღეჭოს. თუ ეს ციფრი უფრო დაბალია, ნიშნავს, რომ საკვებში ნედლი ბოჭკოს დაბალი შემადგენლობაა და მაღალია, ნედლი ბოჭკო ზედმეტია.

სუნთქვა

ჯანმრთელი ძროხა წუთში 10-დან 30-მდე ღრმა ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას აკეთებს. გახშირებული სუნთქვა ტკივილზე, სიცხეზე ან სიცხისგან გამოწვეულ სტრესზე მიუთითებს.

განავალი

განავლის ანალიზი (სიმკვრივე, საკვების მონელების ხარისხი) საშუალებას გვაძლევს წინა დღის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ვიმსჯელოთ. განავალში არ უნდა შეგვხვდეს დიდი ზომის მოუნელებელი საკვები.

ფაშვი

ფაშვი მიგვანიშნებს, თუ როგორ გრძნობს ძროხა თავს. უკნიდან შეხედვისას, ფაშვი (მარცხნივ) ოდნავ გამობერილი უნდა იყოს. ფაშვის სწორად ფუნქციონირების გადამოწმება ასევე შეიძლება, თუ მას მუშტით დავაწვებით (ზემოთ გაზებია, შუაში სიმკვრივე, ქვემოთ სითხე). ფაშვში, ყოველ 5 წუთში 12 ძლიერი კონტრაქცია (შეკუმშვა) უნდა ხორციელდებოდეს. ამის დადგენა შეიძლება მოსმენითაც: ხმა შორიდან მომავალ ჭექა-ქუხილს მიაგავს.

ცური

ცურის მდგომარეობა მოწველის შემდეგ ფასდება. ცურთითების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოწველის ხარისხზე. საუკეთესო ვარიანტში, ცურთითები მოწველის შემდეგ რბილია, ხოლო ცურთითის თავი უცვლელი. მოლურჯო/მოთეთრო შეფერილობა ან ხაზები ცუდი ხარისხის მოწველაზე მიგვანიშნებს.

ჩლიქები

ჯანმრთელი ძროხა საკვების მიღების დროს ოთხივე ფეხზე მყარად დგას. მოკლე ნაბიჯი, შებარბაცება, „აცეკვება“ (ჩლიქების განმუხტვის მიზნით) პრობლემის არსებობაზე მიგვანიშნებს. მიზეზი მიწაზე, ჩლიქების მოვლაში ან კვებაში უნდა ვეძებოთ.

www vetvice nl